წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

სამშაბათი 19 ივლისი

# სამშობლო

№ 408

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ "ცხოვრების" რედაქცია პატივისცემით აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას დაუვიწყარ, მაღალნიჭიერ მწერლის

## ილია ხონელის

**(ილია ლუკას ძის ბახტაძის)**

გარდაცვალებიდან 16 წლის შესრულებას გადახდილ იქნება პანაშვიდი 20 ივლისს (ელიობას) მთავარანგელოზის ტაძარში..

1—1

თ-დი ბეგლარ ნესტორის ძე, დავით, შალვა, სამსონ, გრიგოლ, ნიკოლოზ და გიორგი ბეგლარის ძენი, პაშა და ოლღა ბეგლარის ასულნი ჩიჩუები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარი მეუღლის და უკანასკნელთა ძვირფასი დედის

## კნეინა ნინა ნიკოლოზის ასულის ჩიჩუასას,

დაკრძალვა მოხდება 22 ივლისს დღით პარასკევს სოფელ ზენის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, ზუგდიდის მაზრაში.

253 2—1

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 18 ივლისიდან ახალი პროგრამა

**სპორტი იაპონიაში**, სანახაობა.

ქალთა გულის დამპყრობი იური ნაგორნი.

დრამა 4 ნაწ. ბ.ბ. გრომოვის, ნაზაროვისა ქ.ქ. ბაუერის და რებიკოვის მონაწილეობით.

**გრიბუედტას ჩოჩორი.** სახუმარო.

**ანონსი. მე თქვენ გნახეთ გუშინ სიზმარში.** ძლიერი დრამა 3 ნაწ. გამოჩ. მსახიობთა პანოვის, ა. ვერლენის და აზაგაროვის მონაწილეობით.
**დასჯილი ანტონი.** დრ. 2 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა მონაწილეობით.

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული
სადორიის აგარაკზე **სახნავი მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.
**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
პრივატდოცენტი
**ვ. პ. მოსეშვილი**
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.
2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი
**აძლევს გაკვეთილებს**
**ფრანგულ ენისას.**
იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

**დ. ლაილაშ ი.**
**კბილის ექიმი**
**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**
25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.
სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოქიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება: შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.
ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი
244 ა. ზ. თელაია. თვ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

სომხის კათალიკოსი თბილისში.

26 ივნისს ამა წელს.

მოტყუებული ქმარი.

მხიარული კომედია—ფარსი 3 ნაწ.

პროგრამის გარეშე **ქურდი მიცვალებული** ძლიერი დრამა საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ანონსი:** 21 ივლისიდან, **ორჯერ გადარჩენილი ქალი.** თანამედროვე დრამა ნაწ. ო. ბენეტიტი და ე. გონეს მონაწილ.
**ქალაქის მამები** კომედია 2 ნაწ. კამილლო-დე-რიზას მონაწილეობით.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან**

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 17 ივლისი. ოფიციალ. მდ. სტოხოდზე ჩვენი ჯარის მოქმედებას დიდი ნაყოფი მოაქვს. ივლისის 16 აქ დავატყვევეთ 21 აფიცერი, 940 ჯარის-კაცი და ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიის მფრქვეველი კოველის. მიმართულებით რკინის გზა რეჟიცე კოველის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის ბრძოლის პირი და წინ სვლას განაგრძნობს.

შეიპყრეს 19 აფიცერი 300 ჯარის კაცი დ ხელთ იგდეს 4 ტყვიის-მფრქვეველი. მსროლელთა ერთმა ნაწილმა გაარღვია მტრის უკან მყოფი რაზმი, გზა მოუჭრა გერმანელთა მოიერიშე ცხენოსნებს, დაატყვევა პოლკის უფროსი და გამარჯვებული უკანვე დაბრუნდა. სოფ. პუტომილთან დავატყვევეთ 100-ზე მეტი გერმანელები.

**პეტროგრადი.** 16 ივლისი. ივლისის 15-ს ჩვენმა ათმა მფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ბარანოვიჩის მიდამოებში მყოფ მტრის საწყობებში. შემჩნეულია აქა-იქ ცეცხლი.

მიაძიოლის ტბის ჩრდილოეთით პრაპორ. ტომსონმი ნიუ-პორტის აპარატზე დაედევნა მტრის ალბატროსს, რომელნიც დუდლოვის მახლობლად გამოჩნდა. ალბატროსს მისდევდა მდ. კობილნიკამდის. შემდეგ ტომსონმა სროლა აუტეხა მტერს კობოლნიკის რაიონში და უკან უვნებლად დაბრუნდა. გენერალ ბრუსილოვის ჯარი თამამად დაესხა მტერს და უკუაგდო მოწინააღმდეგე კოველროჟიშჩეს რკინის გზიდან ქ. ბროდამდე. ხელთ იგდო ეს უკანასკნელი პუნქტი. გენ. ლეჩიცკის ჯარი გააფთრებული იერიშით ეკვეთა მტერს სტანისლავსის მიმართულებით, რომელიც მდ. დნესტრის სამხრეთით მდგომარეობს. ტყვეთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. ადგილობრივმა დივიზიამ იერიშით აიღო ევერზანი (ტუმაჩის გზაზე) უკანასკნელ ცნობების მიხედვით ტყვეთა რაოდენობა ივლისის 15-დან აღემატება 400 აფიცერსა და 20000 ჯარის კაცს. ზარბაზანთა რიცხვი 55, ამას გარდა ჩვენ ხელთ არის მრავალი ტყვიისმფრქვეველი და სხვადასხვა სამხედრო მასალა.

**კავკასიის ასპარეზი.**

სივანსკისა და ხარპუტის მიდამოებში მტერი გააფთრებული სიმკაცრით აწარმოებდა იერიშებს ღამით ივლისის 14-ს მაგრამ ქართველ-მსროლელებმა გმირული კონტრ-იერიშით მაინც უკუ აქციეს და ბრძოლის ველი მიატოვებინეს. უკან დახევის დროს ოსმალნი სტოვებდენ იარაღებსა და პატრონებს.

**ლონდონი.** 15 ივლისი ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. გააფრთებულ ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა უკუ-აგდომე 5-თე ბრანდენბურგელთა დივიზია, რომელიც შეეპარა ცინვისკის ტყეს, ამ ჟამად ეს ტყე ინგლისელების ხელშია.

ორი კონტრ-იერიშით მოგერიებული იქნა. გერმანელები საგრძნობლად დაზიანდენ სოფელ ლენგვანა და პუავრისო მახლობელ მიდამოებში წინ წავიწიენით.

გენერალ ლეკკის ცნობით მესოპოტამიის ასპარეზზე სიწყნარეა, ცვლილება არავითარი არ მომხდარა მდ. ეფრატის ორივე ნაპირთან ინგლისელებმა ესროლეს ორ შეიარაღებულ ნავს. ჩვენ სროლითვე გვიპასუხებდნენ. ნავები დაუზიანებიათ დაიჭრა ინგლისელთა ერთი აფიცერი და 6 ჯარის კაცი.

**ჰავრი.** 15 ივლისი. ბელგიის ოფიც. ბელგიის ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** 16 ივლისიმდ. სომის ასპარეზზე გერმ. 2 რაზმი სცდილობდა მიახლოვებოდა ფრანგების ბრძოლის ხაზს, რომელიც ბერმანდოვილიერიდან ჩრდილოეთით მდებარეობს მაგრამ უკუ-აგდეს მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელები სცდილობდნენ იერიში მიეტანათ 304" სიმაღლეზე, მაგრამ ამაოდ აგრეთვე უკუ-გდებულ იქნა გერმანელთა ორი იერიში და მტერმა დიდი ზარალი ნახა. ფრანგებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ნაწილი საპელსეფელის ჩრდილოეთითა და ტიომონის მიდამოებში გერმანელებს წაართვეს. ტყვიის მფრქვეველები საარტილერიო ბრძოლა თან დათანცხოველდება კიურმერ-ფემენ-შენუას ტყესთან დილით ვახმისტრმა დეტერლინმა ჰაერში შეამჩნია გერმანელთა თვით მფრინავი შანონის მახლობლად.

დეტერლინი თვისი აპარატით შეებრძოლა მტერს და ორი გერმანელი მფრინავთან ერთად მკვდარი ჩამოვარდა ფრანგების ბრძოლის ხაზის უკან. დეტერლინმა წინად ორი გერმანელი თვით მფრინავი დაამარცხა და სამხედრო მედალით იყო დაჯილდოებული. ამიენის მიდამოებში ფრანგების თვითმფრინავებს 34 ჯერ შეტაკება მოუვიდათ გერმანელებთან. ფრანგებმა დააზიანეს მტრის 5 აპარატი, ხოლო მე-6-სე ძირს ჩამოაგდეს. ფრანგების საჰაერო ესკადრონები უშენდნენ მტრის ბანაკებს, საწყობებსა და სადგურებს, სულ ჩამოაგდეს 207 ყუმბარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუს. ინვალიდი"-ს გადმოცემით მოსკოვში ინგლისელთა ჯარი მოსულა.

—

იტალიანური გაზეთები სწერენ ამ მოკლე ხანში რუმინია უთუოდ ჩაერევა ომშიო.

—

დასავლეთის ასპარეზზე ვილჰელმს ყველა სარდლები უნახავს და განუცხადებია დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა მომავალ შემოდგომაზე უსათუოდ დიდ გამარჯვებით უნდა შეიცვალოსო.

—

ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ახლო მომავალში მოსალოდნელია ბულგარეთში კაბინეტის გადადგომა და და სამინისტროს კრიზისის ჩამოვარდნაო.

—

დასავლეთის ასპარეზზე მთავარი საბრძოლი მოქმედება მდინარე სომმასთან სწარმოებს. აქ ერთ კვირაში მოკლულთა რიცხვი 95,000-მდისაა პერტონთან ბრძოლაში ინგლისელებს 9,000 კაცი დაკარგვიათ. გერმანელებს ოდნავ წინ წაუწევიათ.

—

ფრანგი მფრინავი მარშელი გერმანიის სანაპიროებისაკენ გადაფრენილა და ყუმბარები დაუშენია, დაღუპულა 4 ქალი და 3 მუშა.

—

„რუსკ. სლოვო"-ს სიტყვით ინგლისის წყალ ქვეშა გემი სმირონის ყურეში შესულა და ქალაქის სანაპიროებისთვის სროლა აუტეხია.

—

ევროპის პრესა აღნიშნავს, რომ პალესტინის ოსმალეთის მიერ გაყიდვა ოსმალეთის ფინანსიურმა მდგომარეობამ გამოიწვიაო.

—

ფელდმარშალ ჰინდენბურგს ბრძანება მოსვლია რიგა დვინის ფრონტზე სასტიკი შემოტევა დაიწყოს.

—

ინგლისელებს ახალი ამფეთქებელი ნალმი მოუგონიათ, რომელიც 20 ვერსის მანძილზე მოქმედებს და აფეთქებასაც მეტად სწრაფად ახდენს.

—

არაბეთის ახალი შერიფი ალოხაიდარ ფაშა უკვე მივიდა დამასკში, მას ქალაქის მცხოვრებლებმა შესაფერი ნადიმი გაუმართეს.

—

რუსეთის ასპარეზზე მიძიოლთან და ბარანოვიჩთან ცხარე ბრძოლები ხდება.

—

უკანასკნელ მიღებულ ცნობებით კავკასიის ასპარეზზე ოსმალებთან ბრძოლაში ქართველ მსროლელთა რაზმს თავი დიდათ უსახელებიათ.

—

„ტიმესის" ცნობით ინგლისის ასპარეზზე გერმანელები საჩქაროდ ჰგზავნიან ახალ ჯარებს და გადააქვთ მძიმე არტილერია.

—

კავკასიის ასპარეზზე ბრძოლებს წვრიმალნი ხასიათი მიეცა. რუსები მამახათუნისკენ მიდიან, სადაც საფრთხეში ვარდება ოსმალეთის მეოთხე არმია.

—

ოსმალეთ-გერმანია კვლავ განაგრძობს სპარსეთისკენ გალაშქრებას და ავღანისტანში აგიტაციურ მოქმედებას. რუსულ გაზეთების სიტყვით მათ ცდას არავითარი ნაყოფის მოტანა არ შეუძლიან, რადგან რუსის ჯარის უკანასკნელმა გამარჯვებამ ამის საშუალება მოუსპო.

## სამხედრო მიმოხილვა.

**19 ივლისი, 1916 წ.**

დღეს ორი წელიწადი, შესრულდა ომის დაწყებიდან და მესამე წელი დადგა.

დღევანდელი დღე მარტო ამით არ არის შესანიშნავი.

დღევანდელი დღე იწყებს ახალ ხანას თანამედროვე ომისას.

ამ გასაოცარმა ომმა მრავალი ახალი მცნება მიანიჭა კაცობრიობის შემეცნებას და მრავალ დარგში, რომელსაც ომთან არაფერი საერთო არა აქვს რა. თანამედ-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზზე** კოლინში რუსის ჯარი წინსვლას განაგრძობს. დაიპყრეს ქ. ბროდი. რიგა დვინის რაიონში გერმანელები შეტევაზე გადმოვიდენ.

**ვერდენთან** ჩვეულებრივი ბრძოლა გრძელდება.

**ინგლის-გერმანიის ასპარეზზე** გერმანელებმა მაშველი ჯარები მიიღეს. მოიერიშე ინგლისელები შეაჩერეს. 15 ივლისს საფრანგეთში მომქმედ ბრანდებ-ბურგის ჯარს ინგლისელებმა უკან დაახევინეს. იტალიის ასპარეზზე ტენელთან მძაფრი ბრძოლაა, ავსტრიელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ იტალიელებს.

**კავკასიის ასპარეზზე** ბრძოლა დაწვრიმალდა ერძიჯანის აღების შემდეგ რუსის ჯარი ხარფუთს ემუქრება მხოლოდ ოსმალთა მომავალი შემოტევას საიდან უნდა დაიწყოს გამოურკვეველია.

---

როვე ომი სხვათაშორის დაამტკიცებს (რამდენადმე ეს უკვე გამოაშკარავდა კიდეც), რომ ომის წარმოებაში საკმარისი არ არის მარტო მეთიართა, ჯარის სიმრავლე, ტყვია წამლის სიუხვე და ნიჭიერი მთავარსარდლები, ყველა ეს მხოლოდ მასალაა. რომელიც უნდა გამოიყენოს მოხერხებულმა გონებამ. გამჭრიახე გონებას უნდა მიეწეროს ის, რომ ხშირად სრულიად მისუსტებული ამ თუ იმ მებრძოლს თავი დაუღწევია გაჭირვებისათვის და, პირიქით, გამარჯვებაც კი მოუპოვებია. ომის დასაწყისში გაიძახოდნენ ვისაც მეტი ჯარი და მეტი სურსათი ექნება, ის გაიმარჯვებსო. გამჭრიხე გონებამ ჯარის სიმრავლეს მაღალი ტეხნიკა დაუყენა. შემდეგ ვერც მარტოდ მარტო ტეხნიკა გამოდგა გამარჯვების მომცემი ბოლოს და ბოლოს აშკარა იყო, რომ გამარჯვების თავდები უნდა იყოს ყველახომარ საშვალებათა სათანადოთ, მოხერხებულად გამოყენება.

ეს გარემოება ერთიანად შესცვლის ომის მსვლელობას და გამარჯვება მოსალოდნელია უფრო სხვა მხრიდან, ვიდრე იქიდან საიდანაც და ვისგანაც მოელოდნენ.

გერმანელებმა უკვე დიდი ხანია მთელი თავისი ძალები აამოქმედეს და ყველაფერი თავიდანვე ერთად ჩააბეს ომში. მოკავშირეებმა კი თანდათან მოახდინეს ეს და ეხლანდელი მათი საერთო ამოქმედებით მთელი ძალღონე მოიხმარეს ყველა სალსარი მოიშველიეს.

ამ ნაირად გარდამწყვეტი მომენტი მოახლოვდა; მოახლოვდა არა იმიტომ, რომ ზავის ჩამოგდების საჭიროება შეეგნოთ. არა, იმდენად დალესილები არიან მეომარი მხარეები ერთი ერთმანეთზე, რომ არავითარი კაცთამოყვარეობითი აზრი დნ მომავალზე ზრუნვა მათ ვერ აალებიებს ომზე ხელს.

ომის დასასრული მოახლოვდა, იმიტომ, რომ მალე დადგება დრო, როცა გამოაშკარავდება ამა თუ იმ ჯგუფის ყველა მეომარ სახელმწიფოთა მიერ დაშვებული შეცდომები, რაც იქნებიან მიზეზათ მათი კატარსტროფის.

სწორედ დღევანდელი დღით იწყება მდგომარეობის გამორკვევის ხანა.

შვერელი.

---

## ქ. ქუთაისი, 19 ივლისი

**სისხლის წვიმების დროს!**

დღეს სრული ორი წელიწადია — ოცდა ოთხი თვეა, შვიდას ოცდა თერთმეტი დღეა, რაც პირველად იჭექა ზარბაზანმა და დაიწყო ის უმაგალითო და წარმოუდგენელი „სისხლის წვიმები“, რომელმაც მორწყო მთელი ევროპა კიდითიკიდემდე, რომელმაც წითლად შეღება ოცნებანი მორალისტებისა და მოკლულთა გვამებით დაჰფარა, დამარხა მოძღვრებანი ბევრის სოციოლოგისა, ბევრის ფილოსოფოსს მეცნიერისა.

თუმცა გვსურდა რომ ასე არ მომხდარიყო, მაგრამ ერთ დროს თავის სოლიდარობით ენთქმული ქვეყნები ერთმანეთს დაერივნენ, გაწყდა მათ შორის ძაფი ურთიერთობისა და ერთი ერის მშრომელი ხალხი მეორე ერის მშრომელ ხალხს მიესია, მაშასადამე, პრაქტიკულად განუხორციელებელი გამოდგა (ჯერ-ჯერობით მაინც) ის ტკბილი და მაღალი სწავლა, რომელსაც ძმობა-ერთობა ჰქვიან...

ქართველ ხალხს უთქვამს: შენსას ჩემი მირჩევნია, სვინათ, და სხვისას შენით!-საკვირველია რომ თითქოს ამ ქართულ თქმულების მიხედვით იქცეოდეს მთელი ქვეყანა,

ვიდრე ამა თუ იმ სახელმწიფოს თავისი თავი გასჭირვებია, ვიდრე მას შენი თავი სჭირია და მადა განდიდებისა არ გასძლიერებია, იგი მოკუნტული, მოღუნულია და ათასგვარ ქათინაურებს უძღვნის ხოლმე მეზობლებს, მაგრამ რაკი პატარა წელში გასწორდება, პატარა მოღონიერდება, პატარა მადა გაეხსნება ხოლმე, მაშინ ყველაფერს ივიწყებს, მუშტზე იხედება და თუ დრო იხელთა ცხვირპირსაც ამოამტვრევს თავის „ძვირფასსა და საყვარელ“ მეზობელს.

„პოლიტიკამ შებრალება არ იცისო — სთქვა ბისმარკმა“, ხოლო საცა შებრალება არ არის, იქ არც სიყვარულია, არც სამართლიანობაა, არც გატანაა, არც ძმობა-ერთობაა. პოლიტიკა უდიერობად ხდება და უდიერობას ხომ არავითარი კანონები არ უწერია!..-

ამბობენ, რომ დღევანდელი ომი იმპერიალისტურია, კაპიტალისტურმა ხანამ წარმოშობა და ძალ-მომრეობამ მოამზადაო.

როგორიც უნდა იყოს ეს ომი, რა მიზეზებითაც უნდა იყოს გამოწვეული იგი, ერთი კი ცხადია, რომ ევროპამ დასწიხლა თავისივე ცივილიზაცია და დაამცირა მოძღვრება იესოსი, რომლის მმოსავადაც ითვლება იგი. მან, ევროპამ, შეურაცხჰყო ღმერთი თვისი და შეაგინა სწავლასა თვისსა!

რა ეშველება დღის შემდეგ კაცობრიობას: სამუდამოდ დაჰგმობს და შეაჩვენებს ომიანობას, თუ ომი სტიქიური და აუცილებელი მოვლენაა ხალხთა ცხოვრებაში? ჩვენ ამის გადაწყვეტას ვერ შევუდგებით, ჩვენ გვინდა დღეს მთელის ჩვენის არსებით დავგმოთ ყოველგვარი ბარბაროსობა, ყოველ გვარი ძალ-მორეობა და წყევლა და კრულვა შევუთვალოთ ვინც უნდა იყოს და რაც უნდა იყოს ამ სისხლის წვიმების მიზეზ საბაბი!-

ჩვენ გვინდა მთელის ჩვენის არსებით ვიტიროთ უდროოდ გამწყდარი სიცოცხლე მილიონ მეომართა, ჩვენ გვინდა ვიტიროთ და ვიგლოვოთ დანგრეული ტაძარი სიწმინდისა და განადგურებული სავანე კაცთმოყვარებისა...

ჩვენ გვინდა გონების თვალით შევსდგეთ გოლგოთაზე, იქიდან გადმოვხედოთ ადამიანის სისხლით მორწყულ ველ-მინდორს, ხალხის ხორცის ნაფლეთებითა და ძვლებით მოკირწყლულ მიდამოებს, ზარბაზნის ტყვიებით განიავებულ ადამიანის ტვინით გაპოხიერებულ მთაღელეს და გულ ამოსკვნით დავიძახოთ: „როდის ეღირსება ადამიანს ადამიანური ცხოვრება, როდის დამყარდება „ქვეყანასა ზედა კაცთა შორის სათნოება“?...

თუ გავიხსენებთ მთელს წარსულსა და აწმყოს კაცობრიობისას, უნდა გულისტკივილით აღვნიშნოთ, რომ „სიმშვიდე და კაცთა შორის სათნოება“ მხოლოდ მიუწვდომელი იდეალია, მხოლოდ ზმანებაა, მხოლოდ ოცნებაა ერთეულებისა!...... და ვაი ამ ერთეულებს, რომ ყოველთვის „ტკბილად“ მოეტყუებულნი რჩებიან! რაც შეეხება მთელ სახელმწიფოებს, მთელ დიდსა და თავისუფალ ერებს, მთელ ძლიერს ხალხებს, პოლიტიკა და ცხოვრება მათი ცოტად თუ ბევრად უზრუნველ ყოფილი იქნება მომავალშიც.

ძნელი გამოსაცნობია მხოლოდ „ბედი უბედურთა“, ყოფნა და მომავალი იმ პატარა ერებისა, რომელთაც სიცოცხლე სწყურიათ და რომელნიც ჩართულნი დიდი სახელმწიფოების წიაღში, ისე ვით პატარა და სუსტი მდინარენი ჩაერთვიან ხოლმე ბუმბერაზ ოკეანეს.

რა მოგველის, მაგალითად ჩვენ — ქართველებს — ამ ომის შემდეგ?

პატარა საქართველომ ბრძოლის ველზე გაიყვანა თავისი უკეთესი ძალები, თავისი მომავლის შემქნელი ახალგაზდობა.

ჩვენ გვესმის მათი გულის ტკივილი, გვეყურება მათი დაფლეთილი სხეულების გმინვა და ჭრილობიდან გადმონადენი სისხლის ჩხრიალი, მაგრამ აგვინაზღაურდება კი ამდენი მსხვერპლი? .

აი ის საკითხი, რომელიც ლურსმანივით გვესობა გულზე და მთელ ჩვენს სიცოცხლეს სწამლავს!

ეშველება რაიმე საქართველოს, თუ კვლავ გლახა ჭრიაშვილივით წელში მოხრილი იქნება და თავისს დაჩაგრულ შვილებს გულის ტკივილით უამბობს: „იმ დროს... სისხლის წვიმების დროს.... დიდი იმედი გვქონდა კაცობრიობისა, მაგრამ, ხედავთ როგორ მოვსტყუვდითო“..

არა, ჩვენ არ გვინდა მოტყუებულნი დავრჩეთ, ჩვენ გვინდა გამარჯვება და მსხვერპლის ანაზღაურება!...

---

## ს ა ლ ა მ ი!..

გვინდა ქართველური სალამი მიუძღვნათ იმ მოძმეთ, იმ ჩვენი სამშობლოს იმედებს, რომელნიც ბრძოლის ველის სხვა და სხვა ცეცხლით აზვირთებულ ასპარეზებზე ამ ორი წლის განმავლობაში თავგანწირულად იბრძვიან და საზარელ სიკვდილს შეუდრეკლად ეგებებიან ამორი წლის საშინელ ბრძოლაშიმათ წევრებს შიში არ მიკარებია, იბრძვიან და თავის შორს უპატრონოთ მიტოვებულ ოჯახს თუ სამშობლოს უკეთეს მომავლის მოპოვება სწამთ... სალამი თქვენ გმირებო და ვაჟკაცებო!

არ დაგვივიწყდეთ სამშობლო თქვენი. გწამდეთ, რომ სისხლის წვიმებს ყოველთვის უკეთესი დარი მოყვება და შეიძლება ამ დარში თქვენი ღვაწლიც დაფასდეს მრავალ წამებული გავერანებული სამშობლო თქვენი მომლოდეა, თქვენგან მოელის ხსნას...

მას დღეს შინ სწყურია. სცივა, მაგრამ ყველაფერს ითმენს და თქვენ შემოგყურებთ.

იცოდეთრომუბედურებას დაატეხთთქვენ მიტოვებულ სამშობლოს, თუ პირადის განდიდებით აღენთებით და მის ტანჯვა-ვაებას დავიწყებას მისცემთ. მაშ გახსოვდეთ თქვენ მრავალ წამებული ქვეყანა, და მის საშველად ყოველგვარად იმოქმედეთ... მის ტკივილებს მალამოთ მხოლოდ თქვენ უნდა დაედოთ. შორიდან სალამში სხვას ვერას გეტყვით, ძლიერებას მოკლებულს ყველა მგლურის თვალით უყურებს...

არა ნაკლებ საშიშ-სახიფათო მდგომარეობაშია თქვენი სამშობლო...

არც მას ინდობენ... ხშირად მის მსხვერპლს სრულიად ივიწყებენ... თქვენ გმართებთ დიდი დაკვირვება, დიდი გამჭრიახობა... ჩვენი გული ღრმა გლოვით არის მოცული ჩვენი სოფლები შავებით არის შემოსილი მის საუკეთესო შვილების დაკარგვით და თქვენთან ერთად ჩვენც ველით სისხლის წვიმების ბოლოს იქნებ უკეთესი მომავალი დაგვიდგეს... კიდევ სალამი სამშობლოდან ..

ირ — დი.

---

## მილოცვის წერილები

გულმხურვალეთ გილოცავ 35 წლის წუნარ მოღვაწეობას, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო თეოფილე, და ღმერთსა ვსთხოვ მრავალი გაგვიჩენოდეს თქვენისთანა მუშაკნი.

იცოხლეთ მრავალ ჟამიერ.

ჭიათურა სიმონ გოგსაძე.

— —

ძვირფასო მასწავლებელო
**ბ-ნო თეოფილე.**

თქვენი ნამოწაფარი გულწრფელ სალამს გიძღვნის და გილოცავს 35 წლის საზოგადო მოღვაწეობის დღესასწაულს. განგებას ვსთხოვ თქვენი მზგავსნი მრავალნი მოვლინებოდეს ჩვენს ქვეყანას ახალ თაობის აღსაზრდელად.

სალამს გიძღვნის „სორაპანი“-ც რომლის დაფუძნების შთამგონებელთაგანი შენც იყავი.

მიხეილ გაჩეჩილაძე

— —

ნება მიბოძე ამ ქებათა ჩოჩქოლში, კარგო თეოფილე, ჩემი ხმაც ისმოდეს! — მე მსურს, რომ შენს სიხარულის ყალამქარ ხელმანდილს ჩემი ლურჯი ძაფიც ამშვენებდეს.

ი. გრიშაშვილი.

— —

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ გულწრფელ სალამს უძღვნის ჩვენი სამშობლოს თეატრისა და ცხოვრების ერთ უანგარო გამფხიზლებელთაგანს 35 წლის მოღვაწეობით ჰადარა მოსილს თეოფილე ხუსკივაძეს. მრავალ-ჟამიერი იყოს სიცოცხლე მისი.

იოსებ იმედაშვილი.

---

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

✦ ბ-ნ ა კოჩინევს ახალი ფეხსაცმელი გამოუგონია და ნიმუში წარუდგენია სამხედრო სამრეწველო კომიტეტში. ფეხსაცმელს ხის ძირი აქვს სატარებლად სუბუქია იაფადაც ჯდება. სამხედრო სამრეწველო კომიტეტს ფეხსაცმელის ნიმუში ძლიერ მოსწონებია და შესაფერი მოწმობაც მიუცია. კოჩინევს აზრადა აქვს მრავლად დაამზადოს ეს ფეხსაცმელი.

✦ სოფელ ჩიბათის (ოზურგეთის მაზრის) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება მიეცეს სოფელ ჩიბათში მომხმარებელთა საზოგადოება „მოდი მნახე“. გახსნისა.

✦ მ. ხოჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში თხოვნები მიიღება ივლისის-20 მდის. ადგილები მე-2-3 და 4 კლასებში სრულიათ არ იქნება. თხოვნისთვის ამავე სასწავლებლის კანცელარიაში ინახება გამზადებული ბლანკები, და მსურველთ შეუძლიანთ იქ შეიძინონ.

✦ წმინდა ნინოს სასწავლებელში თხოვნები მიიღება ივლისის 15 მდი გამოცდები დაიწყება აგვისტოს 20-ს ადგილები ყოველ კლასში იქნება.

✦ ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი გუშინ დილის მატარებლით დაბრუნდა ქუთაისში სამტრედიიდინ.

✦ გუბის საზოგადოებას უკვე მოუვიდა სესხად აღებული სიმინდი, თუმცა სიმინდის დარიგებას ძლიერ აგვიანებენ, და სიმინდისათვის ჩამოსულ გლეხებს ხარ-ურმით ორი სამი დღე უხდებათ ლოდინი რაც მეტად სამძიმოა მათთვის. საჭიროა სიმინდის დარიგება ისე მოეწყოს რომ გლეხი, არც სოფლის სამუშევერს მოსცდეს და არც აქ მეტი ხარჯი მოუვიდეს.

✦ სოფელ ზონაში ყაჩაღები დაეცენ ამავე სოფლის მცხოვრებთ შარტალა და ერასტი ცაგურიებს. და სიკვდილის მუქარით პირველს წაართვეს 195 მ. მეორეს კი 50 მანეთი. და მიიმალნენ.

✦ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ირ. დიდიძე ჯარში გაიწვიეს.

✦ ახლად გიმნაზიაში დამთავრებულ ახალ გაზდათ უმაღლეს სასწავლებლებიდან მისაღებად გაგზავნილი თხოვნები უკანვე დაუბრუნეს. როგორც გამოირკვა ახალი სტუდენტები უნივერსიტეტში მიღებული არ იქნებიან და ჯარში გაიწვევენ.

✦ 15 ივლისს 75 წელიწადი შესრულდა რაც ტრაღიკულად გარდაიცვალა რუსეთის ცნობილი მწერალი მიხ. ლერმანტოვი რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში უკვე აღნიშნეს მის გარდაცვალების 75 წლის თავი. ლერმანტოვმა დიდი ხანი დაჰყო კავკასიაში ჩაჩნებთან ომში და აგრეთვე იგი იყო საქართველოშიც.

✦ მიწად მოქმედების მინისტრად ბობრინსკი დაინიშნა.

✦ ლურჯ და წითელ ბილეთიანებს ორი თვე კიდევ ადროვეს ჯარში გაწვევამდე.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ჰაროექტი შეაქვს რომ რკინის გზებზე მგზავრობის ფასზე სამხედრო გადასახადი გააუქმონ.

✦ გაზეთების თანამშრომელთა შეღავათი, „საქართველო“ გვაუწყებს რომ „გაზეთების თანამშრომელთა შესახებ მსჯელობა ჰქონდა თბილისში არსებულ გან საკუთრებულ კომიტეტს, რომელიც განაგებს გაწვეულთა შეღავათს; კომიტეტმა სცნო პირველი საჭიროების საქმის მწარმოებლად შემდეგი გაზეთები: „კავკაზი“ ზაკავკაზ. სლოვო „ტ ლისტოკის“ ზაკ. რეჩი“ „ორიზონი“ „მშაკ“ თანამ[illegible] აზრი“ „სახალხო გაზეთი“ და „საქართველო“ შეღავათი [illegible] რებს, რედაქციის მ[illegible] განყოფილებათა [illegible] მუშავეთ“.

საჭიროა თბილისის თათბირის დადგენილებას ქუთათურმა გაზეთის რედაქციებმაც ახლავ მიჰბაძონ და მთავრობას სათანადო თხოვნა წარუდგინონ, რათა ქუთაისის პრესის თანამშრომელნიც გაათავისუფლონ სამხედრო ბეგრისგან.

✦ ქუთაისის საკომერციო სასწავლებელმა მიიღო ქუთაისის გუბერნატორისგან დამტკიცებული, წესდება „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე დღეს ივლისის 10-ს საკომერციო სასწავლებლის შენობაში შესდგება ამ საზოგადოების წევრთა პირველი კრება შეიძლება ამავე კრებაზე დასწრონ ისინი, ვისაც სურვილი აქვს ამ წრეში ჩაწერისა. საწევრო გადასახადი 3 მანათია. გამგეობის წევრთა ამოსარჩევად კრება საღამოს 7 სათზე მოხდება. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს ვიმედოვნებთ ქუთაისის საზოგადოება ახლაც ხელს შეუწყობს ამ ახლად დაარსებულ დაწესებულებას, რომელსაც აზრად აქვს დაეხმაროს ღარიბ მოწაფეებს.

---

# მ ე ს ა მ ე წ ე ლ ი.

უკვე ორი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მიმდინარე უსასტიკესი და ხალხთა ცხოვრების ისტორიაში უმაგალითო მსოფლიო სისხლის ღვრა დაიწყო.

ამ უსაზარლეს სისხლის ღვრის მთავარი მწარმოებელია „განათლებული ევროპა“ რომელსაც ეს ორი წელიწადია თითქოს მოსწყინდა ერთფეროვანი მშვიდობიანობა და მოდუნებულ სხეულ ნერვების გასავარჯიშებლათ მისგანვე კარგა ხანია დაგმობილ ომს მიმართა.

მსოფლიო ომის დაწყების მიზეზად პირველ ხანებში ავსტრიის ტახტის მემკვიდრის ფრანცფერდინანდის მოკვლას ასახელებდნენ, რომელიც ქ. სარაევოში სერბების მიერ გასროლილმა თოფმა იმსხვერპლა.

მაგრამ ზემოდ ნაჩვენები მიზეზი ომის დაწყების რამდენიმე თვის შემდეგ, ყველამ ტენდენციურად იცნო და ომის დაწყების ნამდვილი მიზეზი სულ სხვა გვარად გამოარკვია, დღეს საერთაშორისოთ არსებულ მოსაზრების მიხედვით. აწინდელი უდიდესი ხალხთა ჟლეტა წარმოიშვა მუდამ წამ განდიდება გამდიდრების მოსურნე დიდ სახელმწიფოების ერთმანეთისადმი მეტოქეობაზე. გერმანია, რომელიც 1871 წლიდან ტეხნიკურად და მწარმოება მრეწველობის მხრივ მეტად განვითარდა ძალზე გაიზარდა და მომწიფდა, თავის სამფლობელოში თითქმის დაელია საწარმოო სიმდიდრე. იძულებული შეიქნა მეტად მდიდარ ოსმალეთ სპარსეთისთვის დაეწყო ყურება და ხელის პოტინი.

ინგლის-რუსეთ-საფრანგეთი, კი რომელნიც გერმანიაზე არანაკლებ შურის თვალით უყურებდენ მასთან ავათმყოფ კაცად ჩათვლილ ოსმალეთს და სპარსეთს, ცხადია გულგრილად ვერ შეხვდებოდენ გერმანიის განზრახვას. გერმანიის ოსმალეთ სპარსეთში გაბატონება მოასწავებდა აქედან რუსეთ ინგლისის ალებ მიცემობის განდევნას და ბოლოს იმ საყურადღებო მოსალოდნელ ომის, რომელსაც ინგლისისთვის მომაკვდინებელ ხანჯლის ჩაცემას უწოდებდენ, დიპლომატები. ე. ი. გერმანიის 300 მილიონიან ინდოეთში შეჭრას.

პირველ ხანებში, როგორც ვიცით მეტოქე სახელმწიფოთა შორის სწარმოებდა დიპლომატიური ომი და ვაჭრობა. დიპლომატიურ ომში კი 1913 წ. აღმოსავლეთის ეკონომიურ საკითხში გერმანიამ გაიმარჯვა და ოსმალეთში უკვე კარ გახსნის გამზადებულ გეგმის სისრულეში მოყვანას შეუდგა. ოსმალეთი, ეს აღმოსავლეთის საკითხში მთავარ როლის მოთამაშე, უკვე 1875—95 წლებიდან გახდა გერმანიის „ერთგვარი მეგობარი“ 1895 წ. სომხების ამოჟლეტისას, როდესაც ოსმალეთის ტახტზე აბდულ ჰამიდი ხონთქრობდა, იმპ. ვილჰელმა იმოგზაურა და მთელ ოსმალეთის ხალხს მეგობრობა და მფარველობა შეჰფიცა. დიპლომატიურ ომის გათავების შემდეგ გზა ერთი იყო, მეტოქენი უნდა შეიარაღებულ ომზე გადასულიყვენ, რაც მოხდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას ეხსომება ის მშვენიერი ცხოვრებისაკენ მიმაქანებელი სიტყვები, რომელიც ომის დამწყებლებმა ზარბაზნის გასროლის წინადღით გამოაცხადეს.

სახელდობრ: საერთაშორისო სამართლის აღდგენა, მილიტარიზმის შემუსვრა, უფლება აყრილ პატარა ერებისთვის თავისუფლების მოპოვება.

აი, ამ მშვენიერ სიტყვების უტიფრად ძახილით გამოვიდნენ ბრძოლის ველზე.

და მერე ყველა ეს რისთვის, სჭიროდათ?

დღევანდელ ომში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ხალხის თანაგრძობას მისი წარმოება უხალხოთ არ შეიძლება, და ამრიგათ შორს მჭვრეტელმა მეომრებმა თითქმის ყველა მიიმხრეს და თავის ვერაგ ზრახვათა განხორციელებაში თანამოაზრეთ გაიხადეს. საუკუნეობებით ამავე ომის გუნებაზე დამდგარ ძლიერთა მიერ დამონებულიერები რომანტიკოსობას [illegible]მიეცენ და მსოფლიო ქარტეხილში თავის დიდი ხნის საწადელის განხორციელებას სჭვრეტდენ. მაგრამ ფიქრი და მოლოდინი გაუცრუვა მათ მათგვარ პატარა ერები სავე საშინელმა ბედმა, რომელნიც ძლიერებმა არ დაინდვეს.

მათ თვალწინ დაემხო სერბია, ბელგია, ლიუქსემბურგი, მთაშავეთი. აი, ეს ყველა საკმაო იყო, რომ ოცნებით გატაცებულ ხალხებს თუ ერებს მწარე სინამდვილე დაენახა.

და დაინახა კიდეც, მაგრამ რაღა დროს, როდესაც მას უკვე ხელი ამოსვრილი აქვს სისხლში და მუხრუჭი აქვს მოჭერილი.

ასეთი არის მოკლეთ დღევანდელ უბედურობის დახასიათება და ახლა შევეხოთ თვით მეომარ სახელმწიფოებს.

მეომართშორის შექმნილია მეტად ჭრელი კავშირი.

რესპუბლიკა საფრანგეთისა და ლიბერალური ინგლის ბელგია შეუკავშირდა რუსეთს, მხოლოდ დემოკრატიულ—ბიუროკრატიული გერმანია ველურ ოსმალეთს.

ცხადია ასეთ კავშირს შორის გარდა პირად სარგებლობისა არავითარ საერთაშორისო კეთილ საქმეებზე ლაპარაკი არ შეიძლება რაც უკვე მაგალითე ბიდან ნათლად გამოსჭვივის. მაგალითად ავსტრიაში ბევრი პატარა უფლება წართმეული ერი ცხოვრობს, მაგრამ ავსტრიამ მათ რა მიანიჭა? არათუ მიანიჭა, პირიქით უფრო შეზღუდვას უქადის.

გავრს გააოცებს ის მოვლენა, რომ ინგლის საფრანგეთ რუსეთი დიდის ამბით ეგებებიან ოსმალეთის უღელს ქვეშ მყოფ არაბეთის აჯანყებას და მას თანაგრძობას უცხადებენ, მხოლოდ არაბეთზე ბევრად მომწიფებულ კულტუროსან ირლანდიის ამავე აჯანყებისთვის მიწიდან აღგვა მოუნდომეს

ამ გვარათ დღევანდელ მსოფლიო ომში ყოველი სახელმწიფო სცდილობს მხოლოდ თავის ტყავის და ძლიერების დაცვას, სხვა კი იმდენათ ეყურადღებება, რამდენადაც ხელს შეუწყობს მის ძლიერებას.

ამ გვარ ყოფნაში საერთაშორისო სამართლიანობაზე ლაპარაკი მხოლოდ ზღაპრად უნდა ჩაითვალოს.

Ser.

# მოწოდება ქართველი ქალებისადმი.

მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: ქართველი ქალი დამარბეველის როლში გამოვიდა.

ვაი, სირცხვილო!

მართალია, დამარბეველთა რაოდენობა ერთობ მცირეა, უმნიშვნელოა, მაგრამ, მათი საქციელი, საზოგადოდ, ქართველი ქალის სახელსა სცხებს ჩირქს.

ასეა: რასაც ნაძირალნი აშავებენ, მთელ ხალხს ბრალდება.

ამიტომ, მივმართავ მოწოდებით ქართველ ქალებს: მეტი გამბედაობა გამოიჩინონ და ყოველივე ღონე იხმარონ, რომ ზოგიერთმა შეუგნებელმა მათმა ამხანაგმა თავმოსაჭრელი საქმე არ ჩაიდინოს.

ქართველი—კაცი თუ ქალი—არაოდეს დამარბეველი არა ყოფილა. და ნუ მივსცემთ ნებას ორიოდე თავზე ხელაღებულსა და შეუგნებელ ქალსა თუ კაცს, ჩვენი მტრის გასახარელი უმსგავსო საქმე ქმნას და ქვეყანა ჩვენზე აალაპარაკოს.

ფრთხილად!

მაღაზიებისა და დუქნების დარბევა საქონელს კიდევ უფრო გააძვირებს და უარეს მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. საზოგადოებას თვინიერ ვაჭრობისა ცხოვრება არ შეუძლია და მთავრობა იძულებულია, მოვალეა, ვაჭრები დაიფაროს. და, ცხადია, რაც მათ ზარალი მოუვათ, საქონლის კიდევ უფრო გაძვირებით ჩვენვე გადაგვახდევინებენ.

და, საზოგადოდ, რაც უფრო დიდ საფრთხესა და განსაცდელშია ჩავარდნილი ვაჭრობა, მით უფრო ძვირია საქონელი.

დიაღ! საქონელი შედარებით მაშინ უფრო იაფია, როდესაც ვაჭარს არ ეშინია და იმედი აქვს, რომ მის ქონებას ნიაღვარი არ წაიღებს, ცეცხლი არ დასწვავს ან მტაცებელის ხელი არ გაანადგურებს.

ამიტომ, ვაჭართა დარბევა ერთსა და იმავე დროს საზიზღრობა და უგნურობაა!

დღევანდელი სიძვირის მიზეზი მარტო ვაჭართა მოქმედება კი არ არის, არამედ საზოგადო მდგომარეობა და მოუწესრიგებლობაა.

და ერთადერთი საშუალება სიძვირის წინააღმდეგ ის არის, რომ, რაც შეიძლება, მეტი სახალხო სავაჭრო ამხანაგობა დაარსდეს და, რაც შეიძლება, მეტი უნარი გამოიჩინონ საქალაქო თვითმართველობათ.

საქალაქო თვითმართველობანი მოვალე არიან გამართონ საქალაქო საწყობები და ფურნეები.

სახალხო, სასოფლო სავაჭრო ამხანაგობანი უნდა მოეფინონ მთელს ჩვენს ქვეყანას.

აი საშუალება იაფობისა, აი ის ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია აგვაშოროს თავიდან, როგორც საქონლის სიძვირე, აგრეთვე დარბევა და ათასი სხვა ჭირი და უბედურობა.

აი აქ, ამ ნიადაგზე დახარჯოს თავისი შრომა და ენერგია, ვისაც სიძვირესთან ბრძოლა სწადია!

მეორე მხრით, კარგს ინებებენ ქალები—და კაცებიც,—რომ დამარბეველთა საქციელს საჯაროდ დაჰგმობდენ და თავის შემარცხვენელ წევრებს პროტესტსა და ზიზღს გამოუცხადებდენ.

ქართველი.

P. S. სავსებით ვეთანხმებით რა პატივცემულ ქართველს, ჩვენის მხრივ ვაფრთხილებთ ქართველ საზოგადოებას დაუკვირდეს დამარბეველთა საქციელს რომელიც შეიძლება შემდეგში მიზეზად გამოიყენონ და სამაგიერო პასუხი მოგვთხოვონ! დააკვირდით, რას სწერენ ამ დარბევის შესახებ (ჩვენში) რუსეთის გაზეთები—ამისათვის ჩვენ რუსეთის მტრების მომხრეებად გვთვლიან აბა. კარგად დაფიქრდით, რას ნიშნავს ასეთი წამოძახილი და ან რა სუნი უდის ამ ვიღაცასგან მოწყობილ „პოგრომებს“.

რედ.

# პროვინციის თეატრი.

**დ. ჩხარი.** (შორაპნის მაზრა). ამ თვის 10 ს აქ გამართეს წარმოდგენა აქაურ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ ხალხი ბლომად დაესწრო. რაც შეეხება თამაშს აქაურ სცენის მოყვარეებმა ძლიერ ნაკლებად ჩაატარეს, რაც შეიძლება აიხსნას მათი მოუმზადებლობით, და როლების უმგვანო განაწილებით არ შეიძლება მკითხველის ყურადღება. არ მივაქციოთ აქაურ წესრიგის დაცვის საქმეს. ყველაფერს „ურიადნიკი“ და „სტრაჟნიკები“ განაგებდენ. ადამიანი იფიქრებდა ჩხარში ინტელიგენტი კი არა მოინტელიგენტე ადამიანებიც აღარ მოიპოვებიანო. და თუ მოიპოვებიან ერთი კორესპონდენტის[*]არ იყოს: „კარტის თამაშში ისე არიან გართული, რომ საზოგადო საქმისთვის ვეღარც კი[*]იცლიანო“ რაც ამ საღამოს დაამტკიცეს. წარმოდგენა პირველ საათზე გითავდა. მემრე კი ინტელიგენციის ნაწილმა ჩვეულებრივად კარტის თამაშს მიყო ხელი ან კი როგორ გაძლებდენ ისე, რომ ცოტა ბაქარა არ ეთამაშათ.

ვ სტუმარი.

# ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება.

15 ივლისს, ქალაქის მოურავმა მოიწვია საგანგებო კრება ქუთაისურ ვაჭარ-მრეწველების დღევანდელ საჭირ-ბოროტო მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად და ნიხრის შესამუშავებლად.

კრებას თავმჯდომარეობს ქალაქის თავი ი. ჩიქოვანი. დიდი დარბაზი სავსეა ხალხით. არ სჩანან მხოლოდ ნოქრები, გარდა ორი სამისა. ალბად თავის ალის ხათრით ვერ მოსულან. ქალაქის თავმა მიმართა კრებას და ვრცლად დაახასიათა დღევანდელი კრების მნიშვნელობა და მიზეზი მისი მოწვევისა. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: მე თქვენ ომის დაწყების თავშიაც მოგიწოდეთ და გთხოვეთ ამ საშინელ განსაცდელის დროს თქვენც აღმოგეჩინათ დახმარება და გამოგეჩინათ თქვენი მოქალაქეობა. მაშინაც ამორჩეულ იქნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა ტაქსა ანუ ნიხრი, მაგრამ საუბედუროდ ეს ნიხრი ცხოვრებაში არ გატარებულა.

მას შემდეგ არა ერთხელ მომიმართავს თხოვნით, არა ერთხელ გამიფრთხილებიხართ, მაგრამ სპეკულიაციამ უსაშინელეს მწვერვალამდე მიაღწია. როდესაც ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, მან დაჰკარგა ყოველივე მოთმინება და და შეუდგა ცარცვა-გლეჯას, დარბევას რასაც რუსულად უწოდებენ „ПОГРОМЪ“-ს.

იმ დროს, როდესაც ჩვენი ძმები მამაცურად იბრძვიან და, თავის სისხლით ბრძოლის ველს რწყავენ, იმ იმედით რომ მათს ცოლ-შვილსა, და ნათესავებს ჩვენ ვუპატრონებთ, ვაჭრები მათ ავიწროებენ და უმწეოდ დარჩენილ მათ ცოლ-შვილს ძალზე უძვირებენ უსაჭიროეს, პირველ მოთხოვნილების საგნებს და აუტანელ პირობებში აყენებენ. აი რამ გამოიწვია ეს არეულობა. ახლა მოგმართავთ თქვენ გამოსთქვით თქვენი აზრი გულახდილად: როგორი ზომები მივიღოთ ამის წინააღმდეგ და დაგვეხმაროთ ჩვენ, რომ შევიმუშაოთ რაიმე წესრიგი და დავადგინოთ ნიხრი ყოველ საგანზე.

სიტყვას თხოულობს ქებაძე. „თუმცა ეს კრება მრავალ-რიცხოვანია, მაგრამ ჩემის აზრით საჭირო იყო მოგვეწვიათ უფრო ფართე კრება.

შემდეგ ის ახასიათებს თუ როგორ სპეკულიაციას ეწევიან ვაჭრები საქონლის გადამალვით ან ჩუმი გაზიდვით დასასრულ ის ამბობს: თუ თქვენ გინდათ რომ თქვენი დადგენილი ნიხრი „კაბინეტური“ არ იქნეს, როგორც აქამდის იყო, და გინდათ გასცილდეთ ამ კაბინეტს, ამისათვის თქვენ უნდა ამოირჩიოთ ფართო მასისგან იმისთანა პირები, რომელნიც გავლენ ქუჩებში და მოითხოვენ, რომ შესრულებულ იქმნას ნიხრი და ყოველივე ბოროტება მხილებულ იქნება პრესის საშუალებით.

დასასრულ მოუწოდა პრესას, რომ იმანაც მიიღოს მონაწილეობა და გამოარკვიოს ყოველივე რასაც დიდი მნიშვნელობა აქვსო.

შემდეგ ამისა თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, კიდევ ვის სურს ამის შესახებ ლაპარაკი. მაგრამ ყველანი სდუმდენ.

თავმჯდომარე: როგორც ვატყობ ეს დუმილი მოასწავებს, რომ თქვენ არაფრის თქმა არ გსურთ და საუბედუროდ არაფერი ზომები გინდათ მიიღოთ, რაიც ძლიერ სამწუხაროა.

მუუდროებას არღვევს ერთი ვაჭარი (ხმოსანი) ყუფარაძე. ის, როგორც ეტყობა შეურაცხყოფილად რაცხს როგორც თავის თავს აგრეთვე მთელ ვაჭრებს. მას უნდა დაამტკიცოს, რომ სპეკულიანტები მათ შორის არ არიან. სპეკულიაცია თურმე იქ სათავეში ყოფილა ე. ი. „ფაბრიკანტები“ ყოფილან ყველაფრის მიზეზი.

ასე ლაპარაკობდა ის ვაჭარი, რომელიც „დიდად დემოკრატობს“ ხოლმე და თან ქალაქის მამათა რიცხვშია (ხმოსანია).

გამართლება ყველა ვაჭრებისა, სხვა რომ არა იყოს რა, დიდ გამბედაობად უნდა ჩაეთვალოს „დემოკრატ“ ვაჭარს.

ბ-ნ ყუფარაძის შემდეგ ლაპარაკობს მისი ამხანაგი ჯაკობია. იგიც გაცხარებულია და თხოულობს, რომ მოქალაქეთაგან ამორჩეულ იქნას წარმომადგენლები. (ქალაქი დაიყოს რაოდენიმე უბნად) ეს წარმომადგენლნი ვაჭრების ხარჯით უნდა გაიგზავნონ იმ ადგილებში, საიდანაც საქონელი მოდის. იქ უნდა იქმნას გამომუშავებული ნიხრი.

ერთი ახალგაზდა ვაჭარი ამბობს, მართალია სპეკულიაცია არის, მაგრამ ყველანი კი არ არიან ასეთები, არამედ ასში ხუთი სპეკულიანტი თუ მოიპოვებაო, და თუ ჩემი არა გჯერათ, დასამტკიცებლად „სჩოტებს“ წარმოგიდგენთო,—თითქმის ყველა ვაჭარი ემხრობა ამ ორატორს.

დ. ქებაძე მაინც თავისას იმეორებს და მოჰყავს საბუთები, მაგალითად რამდენი ათასი დუჟინი საპონი „ბოდლოსი“ როგორ გაზიდულ იქმნა ქუთაისიდან.

ბ-ნი ტრიფონ ჯაფარიძე ამბობს რომ სპეკულიაცია თვით ვაჭრებში ხდება, მაგრამ ყველას არ მიუძღვის დანაშაული. ასში—ხუთი ან ექვსი არისო. არიან სპეკულიანტები არა ვაჭრებიც და თუ გინდათ რომ ეს სამარცხვინო ჩირქი ჩამოირეცხონ, თვით უნდა ამხილოთ სპეკულიანტებიო. ისინი განდევნილ უნდა იქმნენ ვაჭრების წრიდან და ვაჭრობის უფლება წაერთვათო.

მან უსაყვედურა ვაჭრებს რომ არა ჰყავთ მათ არც სტაროსტა და არც რაიმე ორგანიზაცია აქვთ. უმისოდ კი კომისიები ვერას გვიშველიანო.

თავმჯდომარე საკითხს გამორკვეულად სცნობს და კიდევ მიმართავს კრებას, რომ თვით დაეხმარონ მას ამ საქმეში.

„მე თქვენ მოგიწვიეთ არა იმისთვის, რომ რამე ძალა დაგვატანოთ, არამედ გთხოვდით, როგორც ქალაქის მეთაური როგორც თქვენი ამხანაგი, რომ გულახდილათ გამოგვეთქვათ თქვენი აზრი და ეს თქვენი აზრი საზოგადოებისათვის შემეტყობინებინა ამასთან როგორც ვიცით, ბევრი ვაჭარი საქონელს მალავს და ქალაქ გარედაც გააქვს ამის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული და სასტიკადაც დაისჯებიან დამნაშავე ვაჭრები. ამის ცნობები ჩვენ უკვე გვაქვს. დასასრულ სთხოვა ამოერჩიათ კომისიისთვის ორ ორი ან სამ სამი სუყოველ დარგის წარმოებისგან. დაასახელეს მსხვილ მსხვილი ვაჭრები. ამაზე ქებაძე პროტესტს აცხადებს და ამბობს: მე პირადათ არაფერი მაქვს ამ პატივცემულ პირების წინააღმდეგ, მაგრამ არ შეიძლება ამოვირჩიოთ იმისთანანი რომელნიც თვითონ დაინტერესებულნი არიანო. უმჯობესია კომისია წვრილ ვაჭრებისაგან იქმნეს ამორჩეულო ამაზედ მსხვილი ვაჭრები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს ამის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, ამოირჩიონ როგორც მსხვილი ისე წვრილი ვაჭრები ამის შემდეგ რომელზედაც ნიხრი უნდა დაწესდეს. კრებამ ის საგნები ჩამოთვალა ჩვენის აზრით არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ვაჭრები თავს მართლულობენ, გაბოროტებული ხალხი „პოგრომებს“ ახდენს, და ყველა ერთად კი დიდ გაჭირვებასა და მწუხარებას განვიცდით მაშ არ გვეშველება.

საჭიროა შესდგეს ყველა მოქალაქეთა კრება, საკითხის გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღოს ფართო მასსამ და დაარსდეს მოქალაქეთაგან არჩეული „წრე (ეგრედ წოდებული Обывательскій кружокъ და ამ წრეს ჩაბარდეს საქმის მოწესრიგება მაშინ „პოგრომებიც თავიდან აცილებული იქნება და ვაჭრების სპეკულიაციასაც ბოლო მოეღება

მოქალაქე სეფე.

# შენიშვნა.

ამ დღეებში სასიამოვნო შემთხვევა მომეცა და ორ ამხანაგთან ერთად ვინახულე ჯრუჭის მონასტერი. ეს მონასტერი არის ერთი უძველესი ნაშთი ჩვენი ეროვნული ხუროთ—მოძღვრებისა და ნამდვილი სალარო უძვირფასესი ისტორიული ნივთებისა. რამდენადაც საყურადღებოა ეს მონასტერი, სამწუხაროთ, იმდენად გამოურკვეველია მისი როლი ჩვენს ისტორიაში. მონასტრის დაწვრილებით დათვალიერებამ და მის ძვირფასს სიძველეთა თვალის გადავლებამ ღრმა სიამოვნება გვაგრძნობინა, და ჩვენს ხსოვნაში აღმოუფხრელი კვალი დასტოვა. ბევრი რამ საყურადღებო ვნახეთ და აღვნიშნეთ, რასაც შეძლებისადაგვარად ახლო მომავალში ჩვენს მკითხველებს გავუზიარებთ ახლა კი ვჩქარობ გულითადი მადლობა ვუძღვნა მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტს მ გაბრიელს (აბაშიძეს), რომელიც სწორედ შესაფერი დარაჯია მონასტრის ძვირფასს სიძველეთა და შეგნებელი მომვლელი ყოველი ისტორიული ნაშთისა. სამი დღე და ღამე გვერდით გვიდგა მ. გაბრიელი, გაიზიარა ჩვენი შრომა და მოგვცა საშუალება ყველაფერი ადვილათ გვენახა, გამოგვერკვია და გადაგვეწერა; მას ძლიერ მოეწონა ჩვენი განზრახვა და დღე და ღამ სიამოვნებით ჩვენთან შრომობდა. მ. გაბრიელის დარბაისლობამ, გულწრფელმა პეხვედრამ და თანაგრძობით მუშაობამ ჩვენც გაგვახალისა და ეს სასარგებლო მოგზაურობა თანაც სასიამოვნო შეიქნა.

ტრიფონ ჯაფარიძე.

# ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ.*)

იმისთვის, ვინც დაინტერესებულია ქართველ ისრაელთა ცხოვრებით და დღევანდელი მათი მდგომარეობით, საიდუმლოებას არ უნდა წარმოადგენდეს, რომ ქვეყნიერების მნათობი, გამთბობი და ცხოველმყოფელი მზე, თანდათან უფრო და უფრო სიძლიერით და სიუხვით ჰფენს ჩვენ ქართველ ისრაელებს, თავის განმანათლებელ სხივებს.

ამ სინათლის ჩაქრობას, ან გადაფუჩეჩებას აწ ვერ შესძლებს ვერც ერთი ტიტანიური ძალა, სწავლა-განათლება მეტის დაჟინებით იკიდებს ჩვენში ფეხს. წყლის უკან დაბრუნება შეუძლებელია.

გზა თითქმის გაკაფულია..

მხოლოდ, საჭიროა ახლავე, სათავეშივე სწორე გზასა და მიმართულებას არ ავცდეთ, თორემ მერე გვიან-ღა იქნება და გაგვიძნელდება მისახვევ-მოსახვევებით ყალბ ნიადაგიდან სწორეზე გადასვლა, და, ადვილად შესაძლოა, დავიბნეთ, დავიკარგნეთ და დავიღუპნეთ კიდეც ცხოვრების ლაბირინტში.

ამისთვის, პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ისრაელები ვართ; ანგარიშს უნდა ვუწევდეთ ჩვენი წინაპრების სარწმუნოებას და გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, როგორი ძალა და შეუპოვრობა მიუძღვით ჩვენს მამებს ჩვენამდის ისრაელთა სჯულის მტკიცეთ შენარჩუნებისათვის.

სჯულის სიმტკიცე, ან სჯულის გვერდის ახვევა,—აი რა იქნება ერთერთი მაჩვენებელთაგანი იმისა, რომ ჩვენ მიერ აღებული მიმართულება სწორეა და ჭეშმარიტი, თუ ყალბი, ცრუ და ბრუნდი.

ეს კარგად უნდა გვახსოვდეს თითოეულ შეგნებულ ქართველ ისრაელს; ყველამ უნდა შევიგნოთ ეს, -თუ ნამდვილად გვაინტერესებს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა...

აი ამ საქმით დაინტერესებული, მოველით ჩვენი მოძმე ქართველ ქრისტიანების მხარის დაჭერას და მათ დახმარებას...

მართალია, რუსეთში ებრაელთა საკითხი „დაწყევლილ“ საკითხად არის აღიარებული, მისი გადაწყვეტა მეტად რთული და ძნელი საქმეა რუსის საზოგადოებისათვის, მაგრამ, ნუ თუ ისე გადაგვარდა, გადარუსდა ქართველი საზოგადოება და იმოდენად გაიჟღინთა იგი რუსული გრძნობებით და შეხედულობით, რომ ვერ ამჩნევს განსხვავებას, ერთის მხრით, რუსებსა და რუსეთში მცხოვრებ ებრაელთ შორის და, მეორეს მხრით, ქართველ ქრისტიან და ქართველ ისრაელთა შორის. განა აღარაფელი გვაქვს საერთო? ნუ თუ დაგვავიწყდა მამა-პაპათა ტრადიციები და გვარებს გარდა ყველაფერი აღმოიფხრა ჩვენში ქართული? განა ეპატიებათ ჩვენ მოძმე ქრისტიან ქართველებს, რომ ასე მიყუჩებულია მათ მიერ ჩვენი საკითხი და აქამდის რაოდენიმეთ მაინც ალღო ვერ აუღეს მას? ჩვენ რაღა დავაშავეთ სამშობლოს წინაშე! ვის უცდიდნენ ჩვენი საზოგადოების მოწინავენი?..

ნუ თუ რუსეთის„ იეშიბებიდან“ ჩამოსულ ხახამ რაბინების „მუშაობას“?! აქვე არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ქუთაისელ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას, რომელიც, ამისავე ჩყალობით რომ „ფართოდ გაუხსნა თვისი კარები“, ხელს უწყობს ქართველ ისრაელთა შორის სიონიზმის გავრცელებას.

ამ „ეროვნულ“ ორგანოს ფურცლებზე მოუთავსებიათ ბ. რაბინის ბააზოვს და მის მიერ უკვე გასიონისტებულ ქართველ

*) ეს წერილი გადმოგვაქვს „სახალხო ფურცლიდან“. ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ მაშინ როცა ამ წერილის დაბეჭდვა დასრულდება. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრაელთ მთელი წყება წერილებისა: „ებრაელის ფიქრი“, „ებრაელის ხმა“, „ებრაელის აზრი“, „ებრაელის ამონაკვნესი“, „ებრაელების ცხოვრებიდან“ (სამი დიდი პიროვნება)..., რომელშიდაც ვერ იპოვნით ვერც ერთ პწკარს ქართველ ისრაელთა ეროვნულ საკითხზე, გარდა შეხტერებისა, შიფებისა, ლიფშიცებისა, ლანგებისა, ნორდაუებისა, უსიშკინებისა, უაბოტინსკებისა, რუბინშტეინებისა, და აგრეთვე იმისა, მაგალითად, როგორ იმოგზაურა ბ. ბააზოვმა, 1907 წელს ჰააგაში მომხდარ სიონისტთა კონგრესის შემდეგ, ხომალდით სხვა გამოჩენილ სიონისტებთან რომელთა შორის გამეფებული იყო ებრაული ენა.

რისთვის გვიპატრონა ოცი-ოცდაათი საუკუნე ჩვენმა სამშობლომ? რისთვის გვექომაგებოდნენ და გვფარველობდნენ ჩვენ ქართველთ მეფეები? განა გაგონილა სადმე, რომ ოდესმე ქართველ ისრაელს ეღალატნოს საქართველოსთვის—მაშ რად არ გამოგვეხმაურება ქართველი საზოგადოება? რად დაიბანა მან ჩვენზე ერთბაშად ხელები და „ჩაგვაბარა“ რუსეთიდან ჩამოსულ სიონისტებს?! მაგრამ, დაე, აყოლილმა სხვათა ფეხის ხმას, გაგულ ქვავებულმა ქართულმა „საზოგადოებამ“ გვერდი აგვიხვიოს, ჩვენ კი, ქართველ ისრაილთა გათვითცნობიერებული მოზარდი თაობა არ უღალატებთ ჩვენ ისტორიას და დიალაც ვიქნებით „პაპაზე მეტი კათოლიკე!..“

გაზეთ „სამშობლოს“ 399—393 №№ში დაიბეჭდა ამხანაგ ი. ხ—შვილის „იძულებითი განმარტება“. როგორც ჭეშმარიტი ქართველი ისრაელი, ამხანაგი ი. ხ—შვილი, სწორედ რომ იძულებული იყო ხმა ამოეღო იმ ცრუ შეხედულების გასაქარწყლებლად, რომელიც უნდა შექმნოდა ქართველ საზოგადოებას ბ ბააზოვის ჩვენში მოღვაწეობით და მის მიერ სხვა და სხვა ქართულ გაზეთებში, უფრო კი „სამშობლოში“, მრავალის წერილის ბეჭვდით. მით უმეტეს იძულებული იყო ამხანაგი ნიღაბი აეხადა რუსეთის „იეშიბიდან“ მობრძანებულ რაბინისათვის, რომ ეს უკანასკნელი იმოდენ გათამამდა ჩვენს „უძალლო სოფელში უჯოხოთ სიარულით“, რომ სრულიად არაფერი ანგარიში გაუწია ქართველ ისრაელების არც წარსულს, არც ისტორიას, არც მათ ვალსა და სამსახურს სამშობლოს წინაშე, არც მოზარდი თაობის სულის კვეთებას, და მედგრად იწყო ბაზელ ჰააგაში შეთვისებული აზრების ჩვენში გავრცელება და ისიც ბ. ხვოლესის მიერ შედგენილი „პროგრამით“...

ამ შვიდი თვის წინეთ ჩვენ მოვათავსეთ ასეთივე შინაარსის წერილი „სახ. ფურც.“ 477 №ში, რომელზედაც ბ ბააზოვმა „წყნარი“ სიჩუმით გვიპასუხა გვეგონა ზემოხსენებულ ამხანაგის წერილსაც სიჩუმით გვერდს აუხვევდა, მაგრამ, ალბად, ამხანაგის უფრო ღვარძლიანმა ენამ და „საშინელი აღშფოთებით“ გალაშქრებამ აიძულა ბ. რაბინი პასუხი დაებეჭდა “სამშობლოს“ 399 401 №ბში.

ყოველი წამკითხველი ამ წერილებისა შეამჩნევს:

1) სხვა წერილების წინააღმდეგ ეს პასუხი, რაღაცა აბდა-უბდურად არის შეჩმახული,—იმიტომ რომ ძლიერ გაუწიწმატებია ბ. ბააზოვი ამხანაგის „იძულებითი განმარტებას“, თუ იმიტომ, რომ რედაქცია ამ წერილს „ბეჭდავს უცვლელად??“

2) „მტკნარი ტყუილი“‘ “უცნაური სიყალბე“, „მომტყუებელი გზა“, „უნივერსიტეტში ეგ გასწავლეს?“, „სტყუით და ატყუებთ სხვებსაც“,—აი როგორი მარგალიტებით არის აჭრელებული რაბინის „ჩემი პასუხი არა ებრაელებს“.

მაგრამ .. ორის რაბინს რომ მისამართი შესცვლია, მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ გადაიკითხავს „ახალ კვალის“ წასულ თვის 28 №ში მოთავსებულ ბ. „ნაცნობის„ წერილს, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია „მაგრამ როდესაც იგი (ბააზოვი) პოლიტიკის სფეროში შეტოპვას აპირებს და ებრაელ მკითხველს ყალბ აზრებს*) აწვდის, ჩვენ არ შეგვიძლია არ უთხრათ მას, რომ ამით იგი დათვურ სამსახურს უწევს ებრაელობას.

„რად დასჭირდა ბ. რაბინ ბააზოვს ასეთი აზრების გასაღება ჩვენ არ ვიცით. კითხვაა, მხოლოდ გაასაღებს კი ებრაელობაში ბ. რაბინი ასეთ საეჭვო საქონელს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერა.

„რაბინი ბააზოვი ეტყობა ან ვერ იცნობს ებრაელთა ისტორიას საქართველოში და ან თუ იცნობს განზრახ უმალავს სიმართლეს მკითხველს„.

აი რასა სწერდა გარეშე პირი.

მაგრამ, ადრესიც რომ არ შესცვლოდა რაბინ ბააზოვს, მაინც არ იყო ლამაზი „სულიერი მამისგან“ აგეთი სიტყვების გაგონება.

ბ. ბააზოვი ბრძანებს:

3) „მთელი ქართველი ებრაელობა იმისთანავე ებრაელებია, როგორც არიან რუსეთ ამერიკისა და თვით პალესტინისა. არაფერი იოტის ოდენა განსხვავება ჩვენში არ არსებობს ეროვნულად და სარწმუნოებრივადაც“... ძალოცვილო რაბინო, დაგეწყოთ თქვენი „მოღვაწეობა“ ჩვენში ამ აზრების ბეჭვდით და თავიდანვე მიგითითებდნენ თქვენ ადგილზე ქართველი საზოგადოებაც და ისრაელი-ქართველებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ „სეფარადები“ ვართ და რუს-ამერიკის ებრაელები კი მეტ წილად—„აშქენაზები“, მაინც გეთანხმებით იმაში, რომ სარწმუნოებრივად არაფერი განსხვავება არის ჩვენში, მაგრამ, რაც შეეხება ეროვნების შემადგენელ ფაქტორებს,—ნურას უკაცრავად, თუ ამაში არ დაგეთანხმოთ.

მ. ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება.)

## პროვინციის ცხოვრება.

### ცრუ-მორწმუნეობის ნაშთები სოფლად!

ამ ჟამათ თუ ოდნავ გადავავლებთ თვალს ჩვენი გლეხობის და საზოგადოთ სოფლის წვრილ მეურნის ეკონომიურს და გონებრივ ყოფა-ცხოვრებას, ნათლად და ცხადათ წარმოგვიდგება თვალწინ მისი უნუგეშო მდგომარეობა. ამის უმთავრეს მიზეზს შეადგენს ხალხში გავრცელებული სხვადასხვა ტრადიციული მამა-პაპური ზნე-ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობის ნაშთები, რომლებსაც ისე აქვს გადგმული ფესვები სოფლის მდაბიო ხალხში, ისე აქვს თვითეულ მათგანს ესა თუ ის ცრურწმენა ძველთაგანვე ძვალ-რბილში გამჯდარი და შესისხორცებული, რომ მისი მიტოვება თხოულობს შეგნებული პირებისაგან დიდ დახმარებას ჩვენი გლეხობის ასეთ კულტურულ ნაკლზე არა ერთხელ და ორხელ თქმულა და აღნიშნულ ჩვენს გაზეთებში, მაგრამ ეს ნათქვამი დარჩენილა მხოლოდ „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. წარმოიდგინეთ, ამ ომიანობის დროს სოფლის პატრონებათ სოფლისავე ექიმბაშ-მკითხველები გამხდარან. აი რათ მაგალითად სოფელში გახდა ვინმე ავად, მაშინათვე ექიმბაშთან მირბიან, რადგანაც ნივთიერათ ხელმოკლედ გლეხი ექიმს ვერ მოიყვანს და კიდევაც რომ მოიყვანოს, მასაც დროზე ვერ იშოვის. ამიტომაც ავადმყოფის „პატრონათ ექიმბაშები“ გამხდარან. ესენი სხვადასხვა ბალახ ბულახით წამლობენ „ავადმყოფს“, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ავადმყოფისთვის და მის სენს უფრო აძლიერებს როდესაც ექიმბაშის წამალი ყოველ შემთხვევაში უნაყოფოთ რჩება, მაშინ ის სულ სხვა იგონებს და ეუბნება გლეხებს: „საჭიროა მკითხავთან წასვლა, ის საჭირო დარიგებას და განმარტებას მოგცემსო“.

იქნებ რომელიმე სალოცავი გყავდეს გამწყრალიო და სხ. გლეხი მაშინათვე მირბის მკითხავთან და თავის წვით და დაგვით ნაშოვნ ორიოდე გროშს იმას აძლევს. ამის მაგალითები აუარებელია ჩვენს დაბა-სოფლებში. ვისაც ხშირათ სოფელში უხდება ცხოვრება, ამ მსოფლიო უბედურების დროს, ნათლად შეამჩნევდა ასეთ ცრუმორწმუნეობის აუარებელ ნაშთებს. გარდა ყოველივე ამისა გლეხს აგრეთვე შეუწყნარებელ ცოდვათ მიაჩნია სხვადასხვა დღეობების გადაუხდელობა, როგორიც არის მაგალითად: „კოხინჯრობა“, „ელიობა“, „მარიობა“, „გიორგობა“ და სხ. აქ, საჭიროა შეგნებულმა პირებმა, საზოგადოების მოწინავე ელემენტებმა, აუხსნან და განუმარტონ ხალხს, მაგალითად რამდენათ უაზროა უდიერი ხარჯები სხვადა სხვა დღეობებზე, რომ ყველა ეს გამაღარიბებელი და გამანადგურებელია მათი ოჯახისათვის მაგრამ როგორც საკუთარ დაკვირებიდან ვიცით, რომ ბევრი ყოველ ღონისძიებას ხმარობს სხვებს ხელი შეუშალოს და პირიქით სცდილობს თავისი მოქმედებით ხალხში ასეთ უვიცობას, ცრუმორწმუნოებას ხელი შეუწყოს. ჩვენი სულიერი მამები ჯერეთ სათანადო მთავრობიდანაც ვალდებულნი არიან, როგორც ყოველიცოტათ თუბევრათ შეგნებული პირები, მოსპონ ხალხში ცრუმორწმუნოების ნაშთები გლეხის ოჯახის საძირკველის გამომთხრელი. იმედი მაქვს, ამ ჩემს ნათქვამს სოფლის სამღვდელოება სათანადო ყურადღებას მიაქცევს, რომელიც ზნეობრივადაც მოვალეა ასე გაისარჯოს.

ვ. მანელი.

## რუსეთი.

— —

სამხედრო სამრეწველო კომიტეტმა საჩქარო წინადადება მისცა მოსკოვის სამრეწველო ოლქს, შეადგინოს სია იმ მუშებისა, რომელნიც სრულიად განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურიდან თეთრ ბილეთიანი 1910, 1911, 1912,1913, 1914,1915,და 1916 წლებში.

— —

განათლების მინისტრმა დააკმაყოფილა ხარკოვის უნივერსიტეტის შუამდგომლობა რომლითაც ხარკოვის უნივერსიტეტს იურიდიულ ფაკულტეტზე მიღებულ იქნებიან ქალებიც, რომელთაც აქვთ სიმწიფის მოწმობა ვაჟთა გიმნაზიებისა. ისინი მიიღებიან თავისუფალ ვაკანსიებზე, ვაჟთა მიღების შემდეგ.

— —

პეტროგრადის და მოსკოვის უნივერსიტეტებმა შუამდგომლობა აღძრეს, იმის შესახებ. რომ ამ უნივერსიტეტებში მიღებულ იქნეს ქალებიც მინისტრმა უარყო, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ვინაიდან განზრახულია ამ უნივერსიტეტების დაცლა.

— —

ექიმთა გადაწყვეტილებით სუხომლინოვის ჯანმრთელობა მეტად სახიფათო მდგომარეობაშია და მოსალოდნელია ჭკუაზე შესცდეს.

— —

როგორც ხმები დადის, გარეშე საქმეთა მინისტრის კანცელიარიის დირექტორის ბარონ შილინგის ადგილზე, რომელიც თანამდებობას თავს ანებებს, ინიშნება ბესარაბიის ვიცე გუბერნატორი არსენიევი, შვილი ცნობილ მწერლისა. „ვესტნიკ ევროპი“-ს რედაქტორის კ. არსენიევისა.

— —

სახალხო განათლების მინისტრმა შეუძლებლათ სცნო დაეკმაყოფილებია შუამდგომლობა ხარკოვის ტეხნოლოგიური ინსტიტუტისა, რომელიც ითხოვდა ნებას რომ წელს ინსტიტუტში მიეღოთ ქალებიც.

— —

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბინაზე აფეთქების შესახებ გამოძიება დამთავრდა. მთელი მასალა გადაეცა სამოსამართლო პალატის პროკურორს. საქმე გაირჩევა სექტემბრის პირველ რიცხვებში სასამართლოში ბრალდება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ა. ბობრინსკის შოფერის წინააღმდეგ წაყენებულია, იმ სტატიით, რომლითაც ისჯებიან დაუდევრობისთვის

## წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო რედაქტორო, რადგან თქვენი გაზეთის მეპრესე შეცდომაში შეუყვანია „სახალხო ფურცელში“ მოთავსებულ ჩვენი წერილის იმ ადგილს, სადაც საყვედურია გამოთქმული იმის შესახებ რომ ქუთაისელი ეროვნული გაზეთი „სამშობლო“ ხელს უწყობდა ქართველ ისრაელთა შორის სიონიზმის გავრცელებას ბ. ბააზოვის მრავალ წერილების ბეჭვდით უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ არასოდეს არ შეგვპარვია ეჭვი იმაში, რომ პატივცემული გაზეთი „სამშობლო“ არის ნამდვილი ქართული ეროვნული ორგანო. ამიტომ, თუ სიტყვა „ეროვნული“ ფრჩხილებში მოხვდა, ეს უნდა მიეწეროს ან ჩვენს დაუდევრობას წერილის თეთრზე გადაწერის დროს, (შავზე უფრჩხილებოთა გვაქვს დაწერილი), ან და გაზეთ „სახალხო ფურცლის“ ასოთ ამწყობის შემთხვევით შეცდომას, და არა იმას, ვითომც ჩვენ გაზეთ „სამშობლოს“ ეროვნულ მიმართულებაში რაიმე ეჭვი შეგვქონდეს.

რაც შეეხება ჩვენს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ქართველი საზოგადოება გულგრილობას იჩენს ქართველ ისრაელთა საკითხში, ჩვენ გამოვსთქვამდით სადაო და დამსახურებულ საყვედურს, როგორც მოძმე და თანასწორი საქართველოს შვილი და არა, როგორც გამზრდელის ჩამწიხლული უდიერი ობოლი. *)

მ. ხახანაშვილი.

— —

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ, რომ ამას წინად თქვენ გაზეთში მოთავსებული რეცენზია „გამკვეთი“ ს შესახებ მე არ მეკუთვნის და აგრეთვე ისიც, რომ ფსევდონიმი „ეკლეკტიკი“ ჩემი არ არის.

გ. მუმლაძე.

*) რედაქცია სრულიად დაკმაყოფილებულია ამ განმარტებით. ჩვენ გვეწყინა ის დაუმსახურებელი საყვედური, ვითომც ქართველ ისრაელებს ჩვენ ისე ვუყურებდეთ, როგორც გარეშეებს. ხოლო თუ დღევანდლამდე ქართველობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ქართველ ისრაელებს, ეს აიხსნება თვით ქართველების დღევანდელ მდგომარეობით—რომელმა მდგომარეობამაც ბევრ ქართველს დაავიწყა თავისი ქართველობაც კი, მაგრამ ამაზე კვლავ მოველაპარაკებით ბ-ნ ხახანაშვილს.

რედ.

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ფსევდონიმ „ეკლეკტიკი“-ბ-ნ მუმლაძეს არ ეკუთვნის და არც რეცენზია დაუბეჭდია ჩვენს გაზეთში.

რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“.

### გერმანიაში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი

liedesgaden für die. Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საცოლტო [illegible] მების ძალით ასეთ ამანათს [illegible] უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგ [illegible] პირველი:

Suisse, Bern Ensiugnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
suisse. recommandée Comite internasional de Ia Croix rouge
Agence des prisonniers be guerre
Genéve.



### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 | „ |


მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ქორქოლაძეების სამკურნალო

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## ავი სენი.

უოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)